



შირაქი

SHIRAKI

№11 (10.166)

12-19 აპრილი 2025 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველკვირაული გაზეთი * გამოდის 1937 წლიდან *

ფასი: 60 თეთრი

მათ თავიანთი სისხლით დამოუკიდებლობა მოიპოვეს...

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწედა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერია ჩვენ და ხარბენ სეცდით ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“ - სვიად გამ-სახურდია, 1991 წლის 9 აპრილი.

ყავდა, არაერთი გამოწვევა გვექონდა, მაგრამ ყველა მათგანი დაგვიძლევია. ჩვენი ერის უპირატესობაც ისაა, რომ ისტორიის ყველაზე მძიმე დროს მთელი ერი-დიდიც და პატარაც, ერთ მუშტად იკვრება და ყველა განსაცდელს ამარცხებს. დღესაც საკმაოდ მძიმე პერიოდი უდგას ქვეყანას - ერთმანეთშია არეული მტერი და მოყვარე და ამ ქაოსში სიმართლის პოვნა ძნელიცაა.

ლექსო გრემელაშვილი). ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის გუნდი (ლოტბარი ნიკა შანშაშვილი), ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონი“ პატარა მსახიობები (ხელმძღვანელი ცარო მარტიაშვილი), მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის ანსამბლი (ხელმძღვანელი გოდერძი აბულაშვილი).

თავი აირით გაუსწორდნენ. კრემლის მითითებით მიტინგის დარბევა მოხდა ამავე ღამეს ტელევიზიასთან, სადაც ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ერთ ნაწილთან ერთად მშვიდობიანი მოქალაქეები იყვნენ შეკრებილები.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაწყებული მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის შედეგად, დაიღუპა 21 და დაშავდა 427 ადამიანი. დაღუპულთა შორის 16 წლის მოზარდებიც იყვნენ. სამშობლოს თავისუფლების დიად იდეას შეენი-ნენ: ნატო გიორგაძე, თამუნა დოლიძე, აზა ადამია, ნათია ბამალაშვილი, ეკა ბეჟანიშვილი, თინა ენუქიძე, ნინო თოიძე, ზაირა კიკვიძე, მანანა ლოლაძე, თამარ მაშულაშვილი-სვანიძე, მანანა მელქაძე, მამუკა ნოზაძე, ნანა სამარგულიანი, გია ქარსელაძე, შალვა ქვასროლიაშვილი, ელისო ჭიპაშვილი, თამარიკო ჭოველიძე, მარინა ჭყონია-სამარგულიანი, ნოდარ ჯანგირაშვილი, მზია ჯინჭარაძე, ვენერა მეტრეველი.

9 აპრილის დარბევის შედეგად, 4 ათასზე მეტი დემონსტრანტი სხვადასხვა სახის ტრავმით საავადმყოფოში მოათავსეს. დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოინამლა 2000-მდე მოქალაქე. 1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე, 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეას და, ამავდროულად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.

ინგა შიოლაშვილი



9 აპრილი, საქართველოს უახლეს ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და, ამავდროულად, ეროვნული ერთიანობისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის სიმბოლური დღეა.

1989 წლის 9 აპრილიდან 36 წელი გავიდა. დედოფლისწყაროში 1989 წლის 9 აპრილს გარდაცვლილთა სს-ოვნას პატივი მიაგეს. სამგლოვიარო მსვლელობა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო და 9 აპრილის მემორიალთან დასრულდა. მსვლელობის მონაწილეებმა დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად მემორიალი გვირგვინით შეამკეს, რის შემდეგაც მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ნიკოლოზ ლომსაძემ გადაიხადა.

ლონისძიებზე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ პაპიაშვილმა, რომელთაც სამშობლოს თავისუფლებისთვის გარდაცვლილთა ფასდაუდებელ ღვაწლზე ისაუბრეს.

ნიკოლოზ ჯანაშვილი: „დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა. 1989 წლის 9 აპრილი იყო დიდი ტრაგედია. დღეს ბუნებაც ტირის 36 წლის წინ უდანაშაულოდ დაღუპულ გმირებს, რომლებიც ამ დღეს თავი თავისუფლების იდეას შეენივნენ. მათ ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია-2 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ის 21 გმირი, რომელიც 9 აპრილს შეენირა, ერთი იდეის გარშემო იბრძოდა-ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს იდეა და კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ რუსეთისგან კი არ უნდა დავიცვათ, არამედ ყველა იმ ქვეყნისგან, რომელიც საქართველოს და ქართველი ხალხის თვითმყოფადობასა და თავისუფლებას ზღუდავს. ჩვენი სამიათწლიანი ისტორიის მანძილზე არაერთი მტერი გვ-

მაგრამ ჩვენ თუ მარტივ ჭეშმარიტებას დავეყრდნობით, ძალიან სწორ გამოსავალს ვიპოვით. რა არის ეს მარტივი ჭეშმარიტება? - უფლის სიყვარული, ეკლესიისადმი ნდობა და ერთი იდეის გარშემო გაერთიანება - ჩვენ უფლისა და ქვეყნის სიყვარულმა უნდა შეგვკრას და სწორ გზაზე გვატაროს. ამაში კი ჩვენი ისტორიის კარგი ცოდნა და უფლისა და ქვეყნის სიყვარული, ჩვენი გმირების მაგალითები დაგვხმარება. ერის სულიერი მამა, დიდი ილია ამბობდა: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“- ერის ერთი იდეის გარშემო გაერთიანების შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა რეალობად იქცევა და ვერავინ შეძლებს საკუთარი ინტერესებისთვის ქვეყნის გამოყენებას. ჩვენი გმირი ნიკაშაშვილის შვილობა სწორედ ისაა, რომ ბოროტების იმპერია, როგორც იყო საბჭოთა კავშირი, 1989 წლის 9 აპრილს ქართველებმა შეარყიეს და ზუსტად ორი წლის შემდეგ ქვეყანამ დამოუკიდებლობა ალიდგინა. დიდება მათ სულებს!“

ნუგზარ პაპიაშვილი: „მიხარია, რომ წვმიანი ამინდის მიუხედავად, 9 აპრილის მემორიალთან ხალხმრავლობაა. განსაკუთრებულად მახარებს ჩვენი მომავალი თაობის-პატარების სიმრავლე. მაგრამ იმასაც ვაცნობიერებთ ყველა, რომ ეს ჩვენი ვალდებულებაა, რამეთუ, 36 წლის წინ, მთელმა საქართველომ დიდი საქმე გააკეთა და ქვეყნის მომავალი გადაწყვიტა. სამწუხაროდ, ისტორიულად ასეთი ბედი დაჰყვა ჩვენს სამშობლოს, დიდი საქმე ხშირად სისხლსაც მოითხოვს-ხოლმე. ჩვენ ყოველწლიურად ვიკრიბებით 9 აპრილის მემორიალთან და პატივს მივაგებთ იმ 21 ადამიანის სხოვნას, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე მიიტანეს ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სამსხვერპლოზე.“

ლონისძიების დასასრულს შესრულდა პატრიოტულ თემატიკაზე შექმნილი მსატერული და მუსიკალური ნომრები. მასში მონაწილეობდნენ: ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ხორნაბუჯი“, (ლოტბარი

რის სპეცრაზმელები დაესხნენ თავს.

საბჭოთა ჯარისკაცებმა მშვიდობიანი მომიტინგეებს გზა მძიმე ტექნიკით, ტანკებით ჩაუხერგეს, შემდეგ კი დემონსტრანტებს ნიჩბებით და მსუ-



იმპორტირებულ რძეს საზღვარზე შეამოწმებენ

„მინდა სრული პასუხისმგებლობით გაცნობოთ, დღეს დახლებზე განთავსებული როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული რძე და რძის პროდუქტები სტანდარტებთან შესაბამისია, უვნებელია და რაიმე რისკს არ შეიცავს“ - ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა, ზურაბ ჩეკურაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, ყველა პარტია, რომელიც იმპორტირებული იქნება არა მხოლოდ აზერბაიჯანიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდან, შემოწმებული იქნება, კერძოდ „ორმაგი ფილტრი იქნება ჩაყენებული“.

ამასთან, ჩეკურაშვილი განმარტავს, რომ ბაზრიდან სრულად არის ამოღებული „სოფლის ნობათის“ ის პარტია, რომელშიც აფლატოქსინების გადაჭარბებული რაოდენობა დაფიქსირდა.

„კომპანია „სოფლის ნობათის“ რძის კონკრეტულ პარტიებში დაფიქსირებულ აფლატოქსინებთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ იმოქმედა საერთაშორისო

სო სტანდარტების და პრაქტიკის შესაბამისად. დარღვევის გამოვლენისთანავე მყისიერად მივანოდეთ საზოგადოებას ინფორმაცია, კომპანიასთან ერთად დაიწყო სააგენტომ მთელი ქვეყნის მასშტაბით განთავსებული ამ პარტიის ამოღება.

დღეს ეს პროდუქცია საქართველოს ბაზარზე სრულად არის ამოღებული. არის კითხვები, დახლებზე არსებულ პროდუქტებზე. მინდა სრული პასუხისმგებლობით გაცნობოთ, დღეს დახლებზე განთავსებული როგორც ადგილობრივი ისე იმპორტირებული არის სტანდარტებთან შესაბამისი, უვნებელია და რისკს არ შეიცავს“- აღნიშნავს ზურაბ ჩეკურაშვილი.

ცნობისთვის, იმპორტირებული რძის 5 ნიმუშში აფლატოქსინ M1-ის გადაჭარბებული რაოდენობა დაფიქსირდა, შედეგად პროდუქტის ბაზრიდან ამოღება და დალუქვა განხორციელდა. „აფლატოქსინების“ გადაჭარბებული რაოდენობა „სოფლის ნობათის“ რძის ნიმუშებში გამოვლინდა.

სურსათის ეროვნული სააგენტო კვერცხზე და ხორცზე განცხადებას ავრცელებს

„სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მოუწოდებს, არ შეიძინოს კვერცხი და ხორცპროდუქტები სავაჭრო ადგილებში, სადაც არ არის დაცული ჰიგიენური ნორმები და რეალიზაციის პირობები“, - ამის შესახებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

სურსათის ეროვნული სააგენტო საზოგადოებისთვის განმარტავს, კონკრეტული პროდუქტის შეძენისას, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება.

„ხორცის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ: შენახვისა და განთავსების პირობებს - ხორცი უნდა ინახებოდეს სუფთა, დახურულ მაცივარში, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით - 2-დან 6-გრადუსამდე; შენახვის ვადა 48 საათია.

გასაყიდი ხორცის ეტიკეტზე დანიშნული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: იმ ქვეყნის დასახელება, სადაც მდებარეობს სასაკლაო; იმ სასაკლაოს ალიარების ან პირობითი ალიარების ნომერი, სადაც დაიკლა ცხოველი; ხორცის დამზადების თარიღი და საათი; თუ ხორცი მიღებულია საქართველოში დაბადებული, გაზრდილი ცხოველისგან („წარმოშობა - საქართველო“), ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ცხოველის საიდენტიფიკაციო

ციო საყურე ნიშნის ნომერი;

თუ ხორცი იმპორტირებულია, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს იმპორტიორი ქვეყნის დასახელება;

სხვადასხვა წარმომავლობის ხორცი (საქონელი, ცხვარი, ღორი, თხა) მაცივარში განცალკევებით უნდა იყოს განთავსებული. ასევე, ცალ-ცალკე უნდა განთავსდეს სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებული ხორცი;

ეტიკეტი გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას იმ მაცივარზე, რომელშიც ხორცი ინახება.

კვერცხის შეძენისას, ყურადღება მიაქციეთ შენახვისა და რეალიზაციის პირობებს, ვარგისიანობის ვადას, ეტიკეტს, რომელზეც დატანილი უნდა იყოს ინფორმაცია კვერცხის წარმოშობის ქვეყნისა და წარმოების თარიღის შესახებ.

გაითვალისწინეთ - ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე დაკლული ხორცისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტებისგან (რძე, ყველი, თევზი, კვერცხი და ა. შ) ადამიანის დაავადების რისკი საკმაოდ მაღალია.

მომხმარებელს აქვს უფლება, ფლობდეს უტყუარ და ამომწურავ ინფორმაციას სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებული სურსათის შესახებ“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ახალი რეგულაციები პარტიებთან დაკავშირებით - რა კანონპროექტი წარადგინეს პარლამენტში?!

პოლიტიკური პარტიები და გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირები უცხოური ორგანიზაციების მხარდაჭერით ლექციის, სემინარის ან სხვა მსგავსი საჯარო ღონისძიების მოწყობას ვეღარ შეძლებენ.

პარლამენტს დაჩქარებული წესით განსახილველად „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებები წარედგინა, რომლის ამოქმედების შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციებს პოლიტიკურ პარტიებისთვის ლექციების, სემინარების და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობის შესაძლებლობა აღარ ექნებათ.


პროექტის ავტორი და ინიციატორი ფრაქცია „ქართული ოცნებაა“.

ჯერ კიდევ მოქმედი კანონის მიხედვით, პოლიტიკური პარტიებისთვის დაუშვებელია შემოწირულობების მიღება

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირისგან და საქართველოში ან საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის ან პირთა სხვა სახის გაერთიანებისგან, გარდა ლექციის, სემინარის ან მსგავსი საჯარო ღონისძიების უსასყიდლოდ მოწყობისა. მოქმედი კანონი ამბობს იმასაც, რომ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და იმ იურიდიულ პირებზე არ ვრცელდება, რომელთა მიზანი პარტიების ინსტიტუციური განვითარებაა, რაც რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერას ან მხარდაჭერისგან თავის შეკავებას არ უკავშირდება.

პარლამენტში ინიცირებული კანონის პროექტით აღნიშნული ჩანაწერი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონიდან ამოღის.

სოფლებში შიდა გზების მოწყობა გრძელდება



სოფელ სამთაწყაროში მე-2 ქუჩის საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანაშვილმა გასულ კვირას მოადგილესთან, გელა სამუქაშვილთან ერთად მოინახულა. მერი ადგილობრივებს გაესაუბრა და საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით მათი აზრი მოისმინა.

ინფრასტრუქტურულ პროექტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს და მისი ღირებულება 1 325 499 ლარია.

„ეს სოფლის შიდა ცენტრალური გზაა, მანამდე არცერთი შიდა საუბნო გზა არ ყოფილა მოასფალტებული, მხოლოდ წნორთან დამაკავშირებელ გზაზეა ასფალტი. დატვირთული უბანია, ცენტრში მდებარეობს, უკავშირდება საბავშვო ბაღს, სკვერს, სპორტულ მოედანს და სკოლას, ამ-

დენად უფრო კომფორტულად ვივლით. მოხარული ვართ, რომ შიდა გზების კეთილმოწყობაც დაიწყო. მანამდე ვერ ხერხდებოდა, რადგან წყლის ქსელი მოძველებული იყო, შეცვლას საჭიროებდა და უბნები მასიურად უნდა გადათხრილიყო. ახლა დასრულებული ჯერ არ არის, მაგრამ წყლის სისტემები სამთაწყაროში სრულად შეცვლილია და ყველა მოსახლეს ახალი ქსელი გაუკეთეს, დამონტაჟდა მრიცხველებიც. კომპანიას ჯერ არ აქვს ეს სამუშაოები ჩაბარებული, მაგრამ სატესტო რეჟიმში მუშაობს და კმაყოფილი ვართ ამ სამუშაოებით. მანამდე წყლის სისტემების ნაწილობრივი რეაბილიტაცია კი ხდებოდა, მაგრამ არ გაამართლა, პრობლემები ისევ იყო. ამჟამად სამთაწყაროს წყალი 24 საათის განმავლობაში, გრაფიკის გარეშე მიედინება. ვნახოთ, ზაფხულის სეზონზე რა იქნება, იმედი გვაქვს ცხელ დღეებშიც აღარ შეიქმნება წყალმომარაგების პრობლემა“ - აღნიშნავს სოფელ სამთაწყაროს მკვიდრი ნოდარ შაინიძე.



გუბერნიაში მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ხელმძღვანელობით რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს:

* რეგიონში მიმდინარე და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები და მათი შესრულების ვადები გეგმა - გრაფიკის შესაბამისად;

*სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიმდინარეობა;

*სოციალური მიმართულებით არსებული საჭიროებები;

*დასუფთავების საკითხები.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში მერებთან გამართულ სამუშაო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე - პლატონ კალმახელიძე და ლევან ლილუაშვილი ესწრებოდნენ.



მოგონებები 1978 წლის 14 აპრილზე

მე იმ ბედნიერი თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელმაც პირადად მიიღო მონაწილეობა 1978 წლის 14 აპრილის მშვიდობიან აქციებში ქართული ენის დასაცავად. მე მაშინ იმ ჯაშუაზიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი.

14 აპრილამდე მოვლენები ასე ვითარდებოდა: მას მერე, რაც გამოქვეყნდა პროექტი, რომ საქართველოს კონსტიტუციიდან უნდა ამოღებულიყო ის მუხლი, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, დაიწყო დიდი ვენებათაღლევა, მიმდინარეობდა მსჯელობა, სხვა სასაუბრო თემა იმ პერიოდში აღარაფერი იყო. ერთ დილას, უნივერსიტეტში ლექციებზე რომ მივედი, აუდიტორიაში მერხებზე დაგვიხვდა ქალაქის ფურცლები, სადაც იყო მოწოდება სტუდენტებისადმი, რომ გამოვსულიყავით და დაგვეცვა ქართული ენა რუსული შოვინიზმისგან. ჩვენ სასწრაფოდ დავმალეთ ეს ფურცლები და ჩუმად ვუკითხავდით მეგობრებს, თანაკურსელებს. მეორე დღეს ლექციის მსვლელობის დროს შემოვიდა ორი კაცი და გვკითხეს, რაიმე საეჭვო ხომ არ გვინახია სტუდენტების გამოსვლასთან დაკავშირებით. ჩვენ ვუთხარით, რომ არაფერი გვინახავს. ასე გაგრძელდა მთელი თვე. მერე როგორც გავიგეთ, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ვრცელდებოდა ეს მოწოდებები.

მთელი უნივერსიტეტი დუღდა ამ საკითხით, ყველას, ლექტორებსაც და სტუდენტებსაც ერთი რამ გვაფიქრებდა, რა მოხდებოდა. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, საიდუმლოდ წარმართავდა მაშინდელი ინტელიგენცია, მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა. უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც მომსწრენი იყვნენ 1956 წლის 9 მარტის სტუდენტების დახვედრის, უფრო ფრთხილობდნენ, რომ რაიმე ტრაგედია არ დატრიალებულიყო, მაგრამ ახალგაზრდები ამაზე

საერთოდ არ ვფიქრობდით.

ერთხელ, ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ რამოდენიმე სტუდენტი აპირებდა პოეტ მუხრან მაჭავარიანთან სახლში მისვლას. მე მაშინვე დაუკავშირდი იმ სტუდენტებს და ერთ საღამოს წავედით ბატონ მუხრანთან. მისაღებ ოთახში რომ შევედით, ის სავარძელში იჯდა, გვითხრა დაბრძანებით, შეგვეკითხა, ვინ რომელ ფაკულტეტზე ვსწავლობდით. მერე დაიწყო საუბარი ჩვენს სამშობლოზე, მის წარსულსა და მომავალზე, იმჟამად არსებულ ვითარებაზე, ქართულ ენაზე, თითოეული ადამიანის ვალზე ქვეყნის წინაშე. საუბრის დროს იგი მაღლა ერთ წერტილს მისჩერებოდა, მისი ხმა იყო მომწუსხავი, შუბლი და სახე ჰქონდა როგორც სალი კლდე, თვალები მკაცრი და თან სევდიანი, ჩვენ მისი მოსმენით თითქოს მოვწყდით ამ ქვეყნიურ რეალობას და სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. დამშვიდობებისას მადლობა რომ გადავუხადეთ, მან გვითხრა, არასოდეს დაგვევინყებინა, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი მამა-პაპანი. დიდი პოეტის დარიგებამ კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენი პატრიოტული გრძნობები.

13 აპრილს გავრცელდა ინფორმაცია, რომ 14 აპრილს, ლექციების შემდეგ უკვე უნდა გავსულიყავით აქციაზე რუსთაველზე მთავრობის სახლის წინ. 14 აპრილს უნივერსიტეტში მოსულეებს მელიქიშვილის გამზირი დაგვიხვდა დიდი სამხედრო მანქანებით გადაკეტილი. შუადღისას 3 სთ-ზე უნივერსიტეტთან მოვიდა სამედიცინო ინსტიტუტის, უცხო ენებისა და მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების ათასობით სტუდენტი, ხოლო დანარჩენი ინსტიტუტების სტუდენტები წამოვიდნენ გმირთა მოედნიდან ფილარმონიისკენ, რომ იქ შეგხვდებოდით, მაგრამ იქაც სამხედრო მანქანებით ყოფილა გადაკეტილი. ყველა ისეთი ბრძოლის ჟინით ვიყავით სავსე, როგორმე უნდა წავსულიყავით,

უკან დახვევა არ შეიძლებოდა. თან წარმოიდგინეთ, რომ უნივერსიტეტის ეზო და გზის მეორე მხარე სულ კვბს თანამშრომლებით იყო სავსე. სხვა გზა არ იყო, დავიწყეთ სამხედრო მანქანების ქვეშ გაძრომა და ათასობით სტუდენტი ასე წავედით რუსთაველის გამზირზე. მთავრობის სახლის წინ მიკროფონები იყო გამზადებული, ზოგი სიტყვით გამოდიოდა, ზოგი ლექსებს ამბობდა, იყო სიხარულის ცრემლები. იქ იყვნენ ცნობილი ადამიანები, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ჩხეიძე, თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობები, რეჟისორები, მეცნიერები. მთავრობის სახლიდან გამოვიდა ცეკვას ერთ-ერთი თანამშრომელი და საზოგადოებას აცნობა, რომ შევარდნაძემ დარეკა მოსკოვში, პოლიტიუროში, მოახსენა მათ არსებული ვითარება, ახლა ველოდებით პასუხს და როგორც კი დაგვირეკავენ, მაშინვე შეგატყობინებთ. აქცია იმდენად მშვიდობიანი და მოწესრიგებული იყო, რომ რუსთაველის გამზირზე ერთი ყვავილიც კი არ იყო გათელილი. ერთი საათის შემდეგ გამოვიდა თვითონ შევარდნაძე და გვაცნობა, რომ ცვლილება აღარ შევიდოდა საქართველოს კონსტიტუციაში და დარჩებოდა ადრინდელი ფორმულირებით, რომ საქართველოს სახელმწიფო ენად რჩებოდა ქართული ენა. ეს იყო უდიდესი სიხარული, გამარჯვება, ყველა სიხარულისგან ტიროდა. გვიან საღამოს ასევე მშვიდობიანად დაიშალა აქცია. 1978 წლის 14 აპრილმა ჩვენს ცხოვრებაში შეცვალა ყველაზე მთავარი, იმ დღეს პირადად გამოვცადეთ, რას ნიშნავს სამშობლოსთვის ბრძოლა, როგორები უნდა ვიყოთ. მანამდე თუ ეს ნიგნებიან ვიცოდით, ახლა იქ მდგომმა ახალგაზრდებმა საკუთარ თავში ვიგრძენით. იმ აქციით არ დამთავრებულა ყველაფერი, უნივერსიტეტში დაიწყო ბატონ აკაკი ბაქრაძის საჯარო ლექციები, დარბაზი ვერ იტევდა მსურველებს და მიკროფონები დარბაზის გარეთაც დადგეს. ბა-

ტონი აკაკი საუბრობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მნიშვნელობაზე და სხვა საჭირო თემებზე, რომლის შესახებაც საუბარი იმ პერიოდში სასტიკად აკრძალული იყო. ასევე დაიწყო სხვადასხვა წერილების და ნაშრომების ფარულად გავრცელება, ერთი ასეთი ნაშრომი იყო „იმპერიის ისტორიული ბედი“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირში არსებული კრიზისის შინა და გარეშე ფაქტორები მალე მიაღწევდა კულმინაციურ წერტილს და უკანასკნელი იმპერია ანუ საბჭოთა კავშირი მალე დაიშლება, რადგან იმპერიის ბედი ეს არის. მანამდე კი სანამ ეს მოხდებოდა, თითოეული ჩვენგანის ვალია, კაცმა თუ ქალმა, დიდმა თუ პატარამ, მეცნიერმა თუ გლეხმა, მუშამ თუ ხელოვანმა ბუნებისაგან ნაბოძები თავისი ნიჭი, უნარი, ენერგია, პროფესია უნდა დაუქვემდებაროს პატრიოტულ საქმეს, ჩვენ ჩვენი მოღვაწეობით, შრომით, ქცევით განგვემტკიცებინა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, გაძლიერებულიყო ქვეყანა, მომზადებულიყო ხალხი. ამ ნაშრომის ნაკითხვამ მთლიანად შეცვალა ჩემი მსოფლმხედველობა.

მართლაც, 1978 წლის 14 აპრილიდან 12 ნელნადმი დაინგრა საბჭოთა კავშირი, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა საქართველომ. ჩვენ როგორც ვიცნობდით საქართველოს მომავალზე, მის დამოუკიდებლობაზე, სამწუხაროდ ისე არ წარიმართა ყველაფერი. ამდენი ადამიანი თუ უღალატებდა ქვეყანას და ფულზე გაიყიდებოდა, ვერ წარმოვიდგენდით. მაგრამ მალე ესეც გაივლის, დამშვიდდება ქვეყანა, უფლის წყალობით და ღვთისმშობლის შეწევნით საქართველო გაერთიანდება, დაუბრუნდება თავის ისტორიულ მდგომარეობას, გაძლიერდება, განმტკიცდება და სულიერად გაბრწყინდება.

✍ მარიანა შაითნიშვილი


ის, რაც ქართული ანბანის შესახებ უნდა ვიცოდეთ

ქართული ანბანი და ქართული ხელნაწერები - რა უნდა ვიცოდეთ მათ შესახებ?

ქართული ანბანი იუნესკომ, 2016 წელს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. მისი უნიკალურობა გამოიხატება როგორც გრაფიკულ სილამაზეში, ისე ფონეტიკურ სტრუქტურაში.

ქართულმა დამწერლობამ განვითარების სამი ძირითადი ეტაპი გაიარა და დღეს მისი 3 ვარიანტი გვაქვს, თუმცა პრაქტიკულ გამოყენებაში მხოლოდ მხედრულია.

ასომთავრული ანბანი V-XI საუკუნეში გამოიყენებოდა. ის მონუმენტური და მკაფიო ასოებით ხასიათდება. ძირითადად ქვაზე წარწერებსა და საეკლესიო ხელნაწერებში გამოიყენებოდა.



ნუსხური IX-XVIII საუკუნის დამწერლობაა და მრგვალი და რბილი ფორმებით ხასიათდება.

მხედრული კი XI საუკუნეში შეიქმნა და დღემდე მას ვიყენებთ. ქართული ხელნაწერები მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ როგორც ისტორიის, ფილოლოგიის, ხელოვნების, ისე მეცნიერებისა და რელიგიის კვლევის კუთხით. ისინი მდიდარია მინიატიურებით, ოქროს მელნით დაწერილი ასოებითა და უნიკალური ორნამენტებით. მათი მხატვრული გაფორმება მსოფლიო კალიგრაფიის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს.

10 ათასამდე ქართული ხელნაწერი და 40 ათასამდე ისტორიული დოკუმენტი - ეს კი ის მემკვიდრეობაა, რომელსაც ხელწერთა ეროვნული ცენტრი წლების განავლობაში უვლის და ინახავს. უნიკალური მემკვიდრეობის დაცვის პარალელურად, ცენტრში სამეცნიერო საქმიანობაც აქტიურად მიმდინარეობს. უკანასკნელ პერიოდში მას განსაკუთრებულ დახმარებას უწევს „საზოგადოება ივერიისა“.

კლიმატის ცვლილება და დიდნაურის ნაქალაქარი

„კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შედეგები სულ უფრო და უფრო მკვეთრად ვლინდება ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, რაც მრავალრიცხოვანი დაკვირვებებით დასტურდება. არსებობს დედაქალაქის არსებობის მანძილზე გლობალური კლიმატის რამდენჯერმე მკვეთრად შეცვლის მტკიცებულებები. თუმცა, ამჟამინდელი კლიმატის ცვლილება განსაკუთრებულია. ეს კი ადამიანის ინტენსიური საქმიანობითაა გამოწვეული.“

ამ სიტყვებით გაიხსნა ღონისძიება, 8 აპრილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მეორე საჯარო სკოლაში, რომელიც ამავე სკოლის ეკო-კლუბის „შექმენი მომავლისა“ და მათი ხელმძღვანელის, ნონა ტოკლიკიშვილის ინიციატივით გაიმართა. ღონისძიება კლიმატის ცვლილებებზე, მასზე მოქმედ გარემო-ფაქტორებზე, დიდნაურის ნაქალაქარის გავლენასა და ამ ორი თემის ურთიერთკავშირს ეხებოდა. შეხვედრას მეორე საჯარო სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოების წევრები და მონვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„სკოლის პროექტის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ გათვალისწინებით, რომლის მთავარი მესიჯი „ცოდნა ძალაა, ცოდნა გადაგვარჩენს“, ისტორიულ ჭრილში განვიხილეთ დიდნაურის ნაქალაქარის მავალით, თუ რამ გამოიწვია ამ ცივილიზაციის განადგურება. მოსწავლეებისა და ეკო-კლუბის წევრების დახმარებით, ხელოვნური ინტელექტით გავაცოცხლეთ იმ პერიოდის ადამიანის საცხოვრებელი პირობები, რომლის თანახმადაც მას გადარჩენისთვის, ყოფა-ცხოვრებისთვის აქტიურად სჭირდებოდა რკინის იარაღი, მის გამოსაჭედად და დასამზა-



დებლად კი, ხე-ტყე. ამ უკანასკნელის აქტიურად მოპოვებამ და გაჩეხვამ კი გამოიწვია ამ ტერიტორიიდან მწვანე ზოლის პრაქტიკული გაქრობა. შესაბამისად, ამ დასახლების კლიმატისა და გარემოს შეცვლა“- აღნიშნა ეკო-კლუბის ხელმძღვანელმა ნონა ტოკლიკიშვილმა.

შეხვედრა კითხვა-პასუხისა და დიალოგის რეჟიმში წარიმართა. ასევე გაჟღერდა, სამომავლო გეგმებიც, რომლის მიხედვითაც, ეკო-კლუბი აპირებს დიდნაურის ნაქალაქარის მონახულებას და სასკოლო საზოგადოებისა თუ სხვა დაინტერესებული პირებისთვის ამ თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე დებატების გამართვას.

შეგახსენებთ, რომ დიდნაურის ნაქალაქარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს, პირაქის ველზე, ადგილ დიდნაურზე. იგი 2014 წელს აღმოაჩინეს სატელიტური გადაღებების განხილვისას. ნაქალაქარის შიდა ციხე 1,5 კილომეტრის სიგრძის გალავნითა და 12 მეტრის სიგანის თავდაცვითი თხრილითაა შემოსაზღვრული. ექსპედიციის წევრები ვარაუდობენ, რომ ის უძველესი სახელმწიფოს დედაქალაქი უნდა ყოფილიყო, რომელიც ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული არ არის. სპეციალისტების ეჭვის საფუძველს სასახლის მასშტაბები, ინფრასტრუქტურა, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნასახლარები და სამარხები აძლევს. 2020 წლის 23 ივლისს საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, მას ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის სტატუსი მიენიჭა.

✍ შუშუნა ყანაშვილი
✍ ხათუნა ბანაშვილი



გაზაფხული სიცოცხლის, სიბოროსა და განახლების დროა. სწორედ ამ ლამაზ სეზონზე დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „ცეროდენამ“ ხელმძღვანელის - ნინო ლოლაშვილის ინიციატივით სათნოების სახლის ბენეფიციარებისთვის საგაზაფხულო კონცერტი გამართა. მოსწავლეები ადგილზე ესტუმრნენ სათნოების სახლში ბენეფიციარებს და ერთი ულამაზესი დღე აჩუქეს. მათ ამ ინიციატივას სიხარულით შეუერთდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეები ნინო სიფრაშვილის ხელმძღვანელობით და კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი „დაძმები“ გელა გველუკაშვილის ხელმძღვანელობით.

ლონისძიებმა სავსე იყო გულწრფელი ემოციებით, თბილი ღიმილითა და ურთიერთობებით. კონცერტში სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, მათ განსაკუთრებული სიბოროთი, სი-

ერთად გაკეთოთ სიკეთე



ფიციართა გასახარებლად გამოდიოდნენ სცენაზე. მართლაც, აღფრთოვანებულები დარჩნენ სათნოების სახლის ბინადრები ბავშვების შემოქმედებითობით, ენერ-

გიით, შესრულების მანერითა და მათ მიმართ გამოხატული პატივისცემით. კონცერტის დასასრულს მათ მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდა შემსრულებლებს, ხოლო მოსწავლეებმა ყვავილების თაიგულები დაურიგეს საჩუქრად. ლონისძიებამ არამხოლოდ პოზიტიური

ემოციები გააჩინა, არამედ დაახლოვა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ერთმანეთთან. მოსწავლეებმა იგრძნეს, რომ მათი ძალისხმევა მნიშვნელოვანად იქცა სხვისი დღის გასანათებლად, ხოლო ბენეფიციარებმა მხარდაჭერა და სიბორო მიიღეს ახალი თაობის წარმომადგენლებისგან. დასასრულს ჩვენთან რამოდენიმე მათგანი მოვიდა მონაწილეთა მიმართ მადლიერების გამოსახატად:

ლუიზა ზურაბიშვილი, ბენეფიციარი:

„დიდი მადლობა ყველას, ვინც დღეს ჩვენი ასეთი გახარებისთვის გაისარჯა

და დადებითი შთაბეჭდილებებით აგვავსო. ამ სიბორომ და ყურადღებამ გული სიხარულით გაგვიტოო და დაგვარწმუნა, სიყვარული და სიკეთე მძლავრად ცოცხლობს ჩვენში“.

ნინო სხენიაშვილი, ბენეფიციარი: „ეს დღე ნამდვილად დღესასწაული იყო, რადგან ჩვენითვის ყველაზე ძვირფასია, როდესაც ვინმე დროს გვითმობს და მიუფრო, ასეთი კონცერტით გვახარებს. მადლობა დღევანდელი დღისთვის თითოეულ მონაწილეს.“

ლარეკა ტომასიანი, ბენეფიციარი: „ბავშვებო, მადლობა, რომ არ გვიწყენებთ, რომ სულ ჩვენს გვერდით ხართ და გავიძევებთ. მომავალი თაობისგან ასეთი თანაგრძნობა და მზრუნველობა თქვენს დიდ ადამიანობაზე მიუთითებს.“

მარინა ზაქარაიშვილი, ბენეფიციარი: „მადლობა ვუხდი ყველას და მინდა იცოდნენ, რომ არასოდეს დაგვავიწყდება ეს დღე, ყოველთვის გულში გვეყოლება ეს ბავშვები და დიდი სიბოროთი გავისხენებთ ამ დღეს“.

საბაზაშვილი კონცერტი სიყვარულის და მზრუნველობის გამოვლინება იყო, რაც თითოეულ ბენეფიციარს აქვს დიდი დიდი დამატება.

ელზა ხარაშვილი

სათუნა ბანაშვილი



ყვარულითა და გულმოდგინებით შეასრულეს ცოცხალი ნომრები: იცეკვეს, წაიკითხეს ლექსები, იმღერეს ქართული ხალხური სიმღერები. თითოეული მათი გამოსვლა განსაკუთრებულად გულწრფელი იყო. ბავშვები არამხოლოდ თავიანთი ნიჭის წარმოსაჩენად, არამედ ბენე-

გიით, შესრულების მანერითა და მათ მიმართ გამოხატული პატივისცემით. კონცერტის დასასრულს მათ მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდა შემსრულებლებს, ხოლო მოსწავლეებმა ყვავილების თაიგულები დაურიგეს საჩუქრად. ლონისძიებამ არამხოლოდ პოზიტიური



ჩვენი ფესვები, ჩვენი ეკო-მემკვიდრეობა-ინიციატივა ქვემო ქედის სამთაწყაროსკენ

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლაში ნაყოფიერი ინიციატივა, რომელიც ეკო-კლუბის ფარგლებში განხორციელდა - საგანმანათლებლო ვიზიტი მუნიციპალიტეტის სამთაწყაროში.

ინიციატივის მიზანი იყო მოსწავლეებში ეკოლოგიური ცნობიერების გაძლიერება, ეთნოკულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, საერთო იდენტობის აღმოჩენა და მეზობლური ურთიერთობების გაღრმავება.

რეგიონი, სადაც დღეს ცხოვრობენ ქვემო ქედის, ზემო ქედის, სამთაწყაროსა და არხილოსკალოს სოფლების მოსახლეობა, გამოირჩევა მრავალფეროვანი მიგრაციული ისტორიით. წარსულში ამ ტერიტორიებზე ჩამოსახლდნენ სხვადასხვა რეგიონიდან.

ზემო ქედი ისტორიულად მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვემო ქედთან - ხშირად ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობები ორ სოფელში სახლობენ. მათ აერთიანებთ სოლიდარობა, ურთიერთპატივისცემა და ტრადიციების ერთგულება.

არხილოსკალო, განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მუდამ იყო კულტურული გზაჯვარედინი. აქ თანაცხოვრობდნენ მრავალი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, რამაც სოფელს მულტიკულტურული კოლორიტი შესძინა. სოფლის მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული როგორც კულტურულ, ასევე ეკოლოგიურ ინიციატივებში.

მოსწავლეებმა შეისწავლეს თავიანთი და მეზობელი სოფლების წარმოშობის ისტორია, გაეცნენ თანასოფელთა ტრადიციებსა და ფესვებს, აღმოაჩინეს საერთო ღირებულებები, რაც აერთიანებთ მათ. მათ ასევე გაუზიარეს ერთ-

მანეთს შემოქმედებითი ნამუშევრები და მონაწილეობა მიიღეს შემეცნებით და სპორტულ აქტივობებში.

ეს ინიციატივა არა მხოლოდ წარსულის გახსენება - არამედ მომავალზე ზრუნვა. ის მიმართულებაა, რომელიც ემსახურება ბავშვების ეკო-შეგნების, მულტიკულტურულობის პატივისცემისა და ისტორიული თვითმყოფადობის განვითარებას.

ინიციატივას სიხარულით დაეთანხმა და მხარი დაუჭირა სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლამ. სტუმრებს თბილად და გულთბილად უმასპინძლდნენ სკოლის ეკო-კლუბის ხელმძღვანელი ქალბატონი ნანა გახოკიძე, სკოლის დირექტორი ქალბატონი ეკატერინე ჩიტაური და მოადგილე ქალბატონი ელენე გრიგორიადისი.

მნიშვნელოვანი იყო ქვემო ქედის სკოლის დირექტორის - ქალბატონი ლელა დარძლის მხარდაჭერა, რომელმაც პროექტის წარმატებით განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანა და აქტიურად ხელი შეუწყო ინიციატივის ხორცშესხმას.

სამთაწყარო უნიკალური დასახლებაა თავისი მრავალფეროვანი მოსახლეობითა და კულტურული ფენე-

ბით. აქ თავს იყრიან ეკო-ემიგრანტები, რომლებიც სტიქიური უბედურებებისა და კლიმატური სირთულეების გამო იძულებით გადაადგილდნენ; ასევე ჰერეთიდან და საინგილოდან გადმოსახლებული ოჯახები, რომლებმაც სოფელში შემოიტანეს საკუთარი ტრადიციები, სიბორო და შრომისმოყვარეობა.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია მთიანეთიდან - განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოსახლებულები, რომლებიც ვაჟა-ფშაველას მხარდაჭერით დასახლდნენ დაბლობში. პოეტსა და მოღვაწეს სჯეროდა, რომ ეს ნაბიჯი მთის მოსახლეობისთვის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იქნებოდა.

ლონისძიებმა ესწრებოდნენ ეკო-კლუბისა და სკოლის თვითმმართველობის წევრები, ასევე პედაგოგები. პროექტის განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც ეკო-კლუბის, ასევე თვითმმართველობის წარმომადგენლები. სალომე და ნიკოლოზ სარდალაშვილებმა მასწავლებლებთან ერთად დაგეგმეს შეხვედრის დეტალები და გაამდიდრეს იგი სხვადასხვა აქტივობით.

შეხვედრა ჩატარდა სიბოროს, ინტერესისა და შემოქმედებითი ენერგიის ფონზე.



ქვემო ქედისა და სამთაწყაროს ეკო-კლუბების მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი სოფლებისა და სკოლების ისტორიები, შემოქმედებითი ნამუშევრები და მიიღეს მონაწილეობა ერთობლივ შემეცნებით და სპორტულ აქტივობებში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ გარემოებების გაცნობას, თუ როგორ ჩამოყალიბდა ეს დასახლებები XX საუკუნეში, როდესაც კახეთიდან, მთიანეთიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან გადმოსახლებულებმა ერთობლივად შექმნეს ახალი საცხოვრებელი სივრცეები.

ეს იყო მეგობრობისა და იდენტობის აღმოჩენის დღე - აღმოჩენა იმისა, რომ ბუნებასთან თანაცხოვრება, ფესვების პატივისცემა და ურთიერთდახმარება არის ის ფასეულობები, რაც გვაერთიანებს.

შედეგად, დამყარდა მტკიცე მეგობრული კავშირი ორ სკოლას შორის; მოსწავლეებმა მიიღეს ახალი ცოდნა საკუთარი და ერთმანეთის მემკვიდრეობის შესახებ; გაჩნდა იდეები მომავალი ერთობლივი პროექტებისთვის.

„მადლობა ვუხდით ქვემო ქედის საჯარო სკოლას ინიციატივისთვის, ხოლო განსაკუთრებული მადლობა - სამთაწყაროს სკოლის ეკო-კლუბის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნანა გახოკიძეს, კლუბის წევრ სალომე სარდალაშვილს და თვითმმართველობის თავმჯდომარეს, ნიკოლოზ სარდალაშვილს - თბილი მასპინძლობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობისთვის.“

განსაკუთრებული მადლობა სკოლის დირექტორს ქალბატონ ლელა დარძულს მხარდაჭერისთვის, ეკო-კლუბის ხელმძღვანელს - ქალბატონ ნათია ნიკოლაშვილს და ქალბატონ გვანცა მამუკაშვილს - ინიციატივის ავტორებსა და სულისჩამდგმელებს.

ერთად ვუფრთხილდეთ ჩვენს მემკვიდრეობას - როგორც ბუნებრივს, ისე კულტურულს! - აღნიშნულია სამთაწყაროს საჯარო სკოლის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ქართული დიპლომატი ქალი, რომელმაც ორი იმპერიის ომი დაასრულა

გულჩარა ბაგრატიონი ქართველი დიპლომატი ქალი და ქართლის მეფის, სიმონ მეფის შვილიშვილი იყო. როდესაც 1600 წელს ოსმალებმა სიმონ მეფე ტყვედ ჩაიგდეს, ქართველებმა ენერგიული ზომები მიიღეს მეფის გა-მოსახსნელად და სტამბოლში დელეგაცია გაგზავნეს. დელეგაციაში გულჩარა ბაგრატიონიც იყო.

ახალგაზრდა ქალი პაპის გამო-სახსნელად წავიდა. ქალის სილამა-ზეზე, გონიერებაზე, დიპლომატიურ ნიჭზე აღფრთოვანებით საუბრობდ-ნენ მაშინდელი სულთნის კარზე მყოფი საფრანგეთის, პორტუგალიის, ვენეციის ელჩები. ოსმალეთის იმპე-რიის ისტორიაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს ელჩმა თავისი სილა-მანით, ბრწყინვალეობით და მჭერმე-ტყველებით, კონსტანტინოპოლი გა-ნაცვიფრა. ქართველმა დიპლომატმა ქალმა, ჭკუა იხმარა და იცით ვის დაუახლოვდა ყველაზე მეტად სულთ-ნის კარზე? სულთან მეჰმედის დედას. ამ ქალბატონს მართლაც, რომ უზარ-მაზარი გავლენა ჰქონია სასახლის კარზე. დაუმეგობრდა სულთნის დედას გულჩარა და თავიც ძალიან შეაყვარა. იმდენი მოახერხა ახალგა-ზრდა ქალმა, რომ პაპა გაანთავისუ-ფლა და მასთან ერთად წამოვიდა ოს-მალეთიდან. თუმცა, სვიმონი მალევე მიაბრუნეს უკან. გულჩარას კი ახალი მისია ერგო - ზავის დადება სპარსეთ-სა და ოსმალეთს შორის. ისიც დიდი მონდომებითა და ენერგიით შეუდგა ურთულეს საქმეს - ორი მოსისხლე მტრის სპარსეთის და ოსმალეთის დაზავებას. რამდენჯერმე შეხვდა გულჩარა სპარსეთის შაჰს. ასევე არაერთგზის მოუწია სულთანთან შეხვედრაც. საბოლოოდ კი მოახერ-ხა, და 1612 წელს, ამ ორ უზარმაზარ სახელმწიფოს შორის ზავის პირობები შეთანხმა.

ქართლის გმირმა მეფე სიმონ პირ-ველმა რთული გზა გაწვლო. ჯერ იყო და ირანის ტყვეობაში გალია წლები. საბოლოოდ კი ამ მეფემ სი-ცოცხლე ოსმალთა ტყვეობაში და-ასრულა. როგორ არ ეცადნენ მის გამოხსნას ქართველები, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. სიმონ მეფის ტყვეობი-დან გამოხსნათა და ირან-ოსმალეთის დაზავების საკითხით აქტიურად იყო დაკავებული ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა. სწორედ ამ ქალბა-ტონისა და მისი საქმიანობის შესახებ ისაუბრა ერთ-ერთ ინტერვიუში ის-ტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მიხეილ სვანიძემ.

მიხეილ სვანიძე: ირანსა და ოს-მალეთს შორის ომში საქართველო ირანის მოკავშირე იყო. ოსმალეთთან შეიარაღებული ბრძოლის გარდა, სი-მონ პირველი დიპლომატიური საშუა-ლებებითაც ცდილობდა დამპყრო-ბლების საქართველოდან განდევნას. მოგეხსენებათ, 1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. პარა-ლელურად, შაჰ-აბასი ახალი ომისთ-ვის მზადებას შეუდგა. ქართველებს ორივე ერთნაირად სძულდათ, მაგრამ ახლა ქვეყანას საფრთხე უშუალოდ ოსმალეთიდან ემუქრებოდა და ისი-ნი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ირანს დაუკავშირდნენ.

- ამის შემდეგ იქმნება ანტიოსმა-ლური კოალიცია?

- შაჰ-აბასმა, კახთა მეფემ ალე-ქსანდრემ და ქართლის მეფე სიმონმა კავშირი შეკრეს და გეგმის განსახორ-ციელებლად გარკვეული ნაბიჯიც გა-დადგეს. სიმონმა ოსმალეთთან ომი განაახლა, ხოლო ალექსანდრემ — ხარკის გადახდა შეუწყვიტა. თავის მხრივ შაჰმაც ოზბეგები დაამარცხა და თავრიზის მახლობლად თავისი ძა-ლების დათვალიერება მოახსო. მომ-დევნო წელს სიმონ პირველმა ხანგრ-ძლივი ალყის შემდეგ გაათავისუფლა ქალაქი გორი. გორის ციხის აღება საფრთხეს უქმნიდა ჩვენში ოსმალთა

ბატონობას. შესაძლებელი იყო, რომ სიმონის მაგალითისთვის ამიერკავკა-სიის სხვა ქვეყნებსაც მიეზავდათ.

ამიტომ, ოსმალეთის სულთანმა სიმონ მეფის წინააღმდეგ თავრიზისა და განჯის ბეგლარბეგი ჯაფარ-ფაშა გამოაგზავნა. მტრის სიმრავლისა და ადგილობრივი ფეოდალების ლაღატის გამო, ქართველები დამარცხდნენ, სი-მონი კი ტყვედ ჩაუვარდათ ოსმალე-ბს. სომეხი ისტორიკოსი არაქელ თა-ვრიშელი წერს: როდესაც სულთანმა სიმონ მეფის დატყვევების ამბავი შეიტყო, ბრძანა მთელი თავისი იმპე-რიის ქალაქებში ქუჩები მოერთოთ, სამი დღე და ღამის განმავლობაში ეუქმათ და ემზიარულათო. ქართველი მეფე სტამბოლში ჩაიყვანეს და იედი კულეს ციხეში გამოკეტეს.

- რა თქმა უნდა, ქართველები შეე-ცადნენ თავისი მეფის გამოხსნას...

- ამასთან დაკავშირებით შაჰ-აბასის ისტორიკოსი გვიამბობს, რომ ოსმალების მიერ სიმონ მეფის და-ტყვევების შემდეგ სტამბოლში გა-აგზავნეს ქართველი ქალი სახელად გულჩარა, რომელიც მისი აღმატებუ-ლება შაჰის კარზე იმყოფებოდა და ოჯახის (დინასტიის) ნათესავთაგანი იყო. როდესაც სიმონ მეფე ირანის ტყვეობისგან გათავისუფლდა, გულ-ჩარაც საქართველოში დაბრუნებულა მეფესთან ერთად. იმის შემდეგ, რაც ქართლის მეფე ოსმალების ტყვეობა-ში აღმოჩნდა, იმ გვარის ქალებმა (დინასტიის) ზემოხსენებული ქალბა-ტონი სტამბოლში გაგზავნეს, რომ მას მომსახურება და ზრუნვა აღმოეჩინა მეფისთვის. გულჩარა დაუახლოვდა სულთან მეჰმედის პატივცემულ დე-დას და მოხერხებული ქცევითა და წესიერი სამსახურით მისი ნდობა მოიპოვა.

- მაშასადამე გულჩარა ბაგრატიონ-თა დინასტიის წარმომადგენელი ყო-ფილა?

- ამასთან დაკავშირებით განსხ-ვავებულ ცნობას გვანჯდის შაჰ-აბა-სის კარზე მყოფი პორტუგალიელი ელჩი ანტონიო გოვეა. მის მიხედვით, სტამბოლში ჩავიდა ქართველი ქალი გულჩარა და სულთნის დედის ნდობა დაიმსახურა. ეს ადამიანი გულჩარას შეცდომით სიმონ მეფის მეუღლედ მიიჩნევს. ქართული წყაროებიდან კი ცნობილია, რომ სიმონს ცოლად ჰყავდა ლევან-კახთა მეფის ქალიშ-ვილი ნესტან-დარეჯანი. გიორგაძე ეყრდნობა გოვეს ამ ცნობას და გა-მოთქვამს აზრს, რომ გულჩარა სიმონ მეფის ხარჭა იყო. გაბაშვილის, აზრით კი, გულჩარა სიმონის ახლობელი ქართველი მანდილოსანი უნდა ყოფი-ლიყო.

- როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ მრავალ ისტორიულ წყაროს გაეცანით, რომელიც გულჩარას ვი-ზობის სხვადასხვა ვარიანტს გვთავა-ზობს. მათი ანალიზის საფუძველზე, როგორ დასკვნას გააკეთებთ, მინც ვინ იყო გულჩარა?

- ჩემი აზრით, გულჩარა სიმონ მე-ფის შვილიშვილი უნდა ყოფილიყო.

1603 წელს 22 დეკემბერს გარ-დაიცვალა სულთანი მეჰმედ მესამე და ტახტზე ავიდა 14 წლის აჰმად პირველი. ამ დროს მთელ სახელმწი-ფო საქმეებს სულთნის დედა განა-გებდა. ამ პერიოდში სასახლის კარ-ზე დანიშნულა გურჯი მეჰმედ-ფაშა. სწორედ მას უნდა გაეჩნა გარკვეული დახმარება მიზნის განხორციელებაში. სტამბოლში ჩასული ქართველებისთ-ვის. შედეგად, გულჩარა დაუახლოვ-და სულთნის დედას და მისი ნდობა დაიმსახურა.

ირანთან ომში ოსმალეთი მარცხ-დებოდა. ამავე დროს ის ევროპაში ავსტრიის იმპერიას ეომებოდა. ოსმა-ლეთში გლეხთა აჯანყებები გრძელ-დებოდა. ნათელი იყო, რომ ოსმა-ლეთის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა ირანთან დაზა-ვების შედეგად. საფიქრებელია, რომ გულჩარამ აცნობა სულთნის დედას,

რომ სიმონ მეფე შაჰ-აბასის სიმამრი იყო, შაჰი მას პატივს სცემ-და და ანგარიშს უწევდა. შაჰ-აბასის კარზე დიდი გავლენითა და ავტორი-ტეტით სარგებლობდა ზეინაბ ბეგუმი, შაჰის მამიდა, რომელთანაც კარგი ურთიერთობა აკავშირებდა სიმონ პირ-ველს, ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროიდან. ყოვე-ლივე ამან, შთაბეჭდილე-ბა მოახდინა სულთნის დედაზე და მას სურვი-ლი გაუჩნდა სიმონ მეფე ირანთან დაზავების საქ-მეში გამოეყენებინა.

- ამ სურვილს კონკრე-ტული ქმედებები თუ მო-ჰყვა?

- სულთნის დედამ გულჩარა და სიმონ პირ-ველი მართლაც გაგზა-ვნა ზეინაბ ბეგუმთან და თან, წერილი გაატანა მასთან. სთხოვდა, შაჰ-აბასის მამიდას ზეგავლე-ნა მოხდინა ძმისშვილზე და უარი ეთქმევინებინა ოსმალეთთან ომზე. ერთი სიტყვით, სიმონ მეფეს შაჰისთვის ოსმალეთთან ზავის დადება უნდა ეთხოვა და ამ რთულ საქმეში გულჩარა დახმარებო-და. ერთი კვირის გამგზავრებულებიც არ იყვნენ, რომ სულთანმა გადაწყე-ტილება შეცვალა, სიმონ მეფე უკან დააბრუნებინა და მხოლოდ გულჩა-რას დაეცნა ამდენად საუბისისმე-ბლო მისიის შესრულება.

- რატომ შეცვალა სულთანმა გა-დანწყვეტილება?

- გოვეას აზრით, სულთნის ამ საქციელის მიზეზი არა მარტო იმის შიში იყო, რომ სიმონი უკან აღარ და-ბრუნდებოდა, არამედ ის, მისგან შაჰი შეიტყობდა თურქეთის იმპერიის ნა-მდვილე მდგომარეობას, იმ უმწეობას, რაც სუფევდა კონსტანტინოპოლში.

- როგორ გაართვა გულჩარამ თავი დაკისრებულ ვალდებულებას?

- ოსმალეთის დიდმა ვეზირმა გულჩარას თან გააყოლა თურქი ჩაუ-ში მჭირად ალა. შაჰ-აბასი ამ დროს ზეინაბ ბეგუმთან სევანის ტბის მახ-ლობლად იმყოფებოდა. მათ დიდი პა-ტივით მიიღეს გულჩარა, რომელმაც მათ სულთნის დედისა და სიმონ მე-ფის წერილები გადასცა.

შაჰი ოსმალეთს ზავზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებოდა, თუ ეს უკანასკნელი „დაუბრუნებდა ყველა იმ მიწას, რომელიც ფეხქვეშ გათელა ისმაილის ცხენმა“. ანუ, ზავის დადე-ბის პირობად მოითხოვდა 1555 წლის ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრუ-ლების აღდგენას, რაზეც ოსმალეთმა ასეთი პასუხი გასცა: „ისმაილის ცხე-ნი ბევრს დაარბოდა, რადგან ცუდად ჰქონდა ლაგამი ამოდებული. ამიტომ, ფეხქვეშ გათელა ბევრი მიწა, რომე-ლიც არასოდეს ეკუთვნოდა არც შაჰ-აბასს და არც მის წინაპრებს“...

შაჰ-აბასი დათმობაზე არ მიდიო-და. მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰ-ყოლია, მაგრამ იგი არც შეწყვეტილა. გულჩარა რამდენჯერმე გაემგზავრა მაჰთან მოსალაპარაკებლად.

საფიქრებელია, რომ ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა, რომე-ლიც სიმონ მეფის დავალებით ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებისთ-ვის იღვწოდა, შეეცდებოდა საზავო მოლაპარაკებებისას საქართველოს ინტერესების დაცვასაც. ამიტომ, ვფიქრობ, ყიზილბაშთაგან თბილისის გათავისუფლებაში ღვაწლი მიუძღო-და სიმონ მეფეს და მისი მითითებით მოქმედ გულჩარას.

იმ დროს, მეტად უჩვეულო იყო ქალისთვის ესოდენ საპატიო საქმის დავალება. თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობასაც, რომ უცხო ქვეყნის წარმომადგენლები არცთუ ისეთი ხა-



ლისით ჩადიოდნენ იმდროინდელ ოს-მალეთში, რადგან თურქები ხშირად არღვევდნენ საერთაშორისო ნორმებს — უცხო სახელმწიფოების წარმო-მადგენლებს ციხეებში ამწყვდევენ და სიკვდილითაც კი სჯიდნენ, მაშინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება გულჩარას როლი საქართველო-ოს-მალეთ-ირანის რთული პოლიტიკური ურთიერთობის მონესრიგებაში.

- საბოლოოდ, რა შედეგს მიაღწია გულჩარას მცდელობამ, გაფორმდა თუ ვერა ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის?

- 1612 წლის 20 ნოემბერს სტამ-ბოლში ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. ჰამერი „ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში“ აღნიშნავს: „ქართველმა ქალმა შეათანხმა ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის“.

მართალია ამ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი საქართველოს შესახებ, მაგრამ 1612 წლის ზავით, ძირითადად, აღნიშნულ იქნა 1555 წლის ზავის პირობები, რომლის მი-ხედვითაც, საქართველო ოსმალეთსა და ირანს შორის ორად იყო გაყოფი-ლი. ქართლ-კახეთი ირანს რჩებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე — ოსმალეთს. საყურადღე-ბოა, რომ ზავის დადების დროისთვის ირანის გარნიზონი ქართლ-კახეთის ციხეებში აღარ იმყოფებოდა. ყი-ზილბაშთა ჯარები ქართლ-კახეთის ციხეებიდან გაიყვანეს სიმონ მეფის „კეთილმოსურნეობით“, რაც სა-ქართველოსთვის დიდი წარმატება გახლდათ.

ამ ზავის დადების შედეგად, ქართლ-კახეთის სამეფოების მდგო-მარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობეს-და.

ცხადია, ზავის დადების შემდეგ გულჩარა სულთანს სთხოვდა, სიმონ მეფის ტყვეობიდან გათავისუფლებას, როგორც ამას სულთანი პირდებო-და, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროს სიმონ მეფე ცოცხალი აღარ იყო. ის 1611 წელს გარდაიცვალა იედი კუ-ლეს ციხეში. გულჩარა სთხოვდა სულთანს ნებართვას, რომ სიმონის ნეშტი სამშობლოში ჩამოესვენებინათ. ზავის დადების შემდეგ 1614 წელს საქართველოში ჩამოასვენეს სიმონ მეფის ნეშტი და მცხეთაში სვეტი-ცხოველში მეფეთა საძვალეში დაა-საფლავეს. ვფიქრობ, ამაში გარკვეუ-ლი ამაგი გულჩარას მიუძღვის.

გულჩარა ბაგრატიონი იმ სახელო-ვან ქართველთაგანია, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანეს სამშობლოს ინტერესების დაცვისა და კეთილდღეობის საქმეში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი ყველაზე მძიმე დღედ ორშაბათს ასახელებს, თუმცა ამ მოვლენას ყველა სხვადასხვაგვარად ხსნის. საუარაუდოდ, ორშაბათი ყველაზე მძიმე დღე იმიტომ არის, რომ მას მძიმე ღამე უძღვის წინ (ხომ გაგიგონიათ ერთობ გავრცელებული გამოთქმა: „ორშაბათი მძიმე დღეა...“).

ესპანელი მკვლევარების მტკიცებით, ყველაზე რთული ღამე გამოიძინებისთვის კვირის ღამეა, როცა ორშაბათი თენდება.

კვირის ყველაზე მძიმე ღამე?!

ესპანელი მეცნიერების ამ მოსაზრებას რამდენიმე წლის განმავლობაში გამოკითხული 9 ათასამდე ადამიანის პასუხი ამყარებს, რომლებიც ამბობენ, რომ ყველაზე მეტად დაძინება სწორედ კვირა ღამეს უჭირთ.

რესპოდენტების 60 პროცენტის ინფორმაციით, მათი ძილის ფაზა თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავე პერიოდში ირრევეა—როცა ორშაბათი თენდება.

80 პროცენტი კი განმარტავს, რომ

მთელი კვირის განმავლობაში ყველაზე მშვიდი ძილი მათ პარასკევის ღამეს სტუმრობს, როცა შაბათი თენდება.

ცხადია, როცა გამოუძინებელი ხარ, მთელი დღის განმავლობაში ვერც კარგ ხასიათზე იქნებით და ყველაზე ადვილი სამუშაოც უმძიმესად მოგეჩვენება.

ჰოდა, გამოდის, რომ ორშაბათი მართლაც მძიმე დღე ყოფილა.

და რატომ ხდება ეს ყველაფერი და რატომ არის კვირის ღამე ყველაზე მძიმე?

მეცნიერების პასუხი ასეთია: —კვირის ღამის ძილი ცუდი მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ ადამიანი სამსახურზე ფიქრობს. დასვენების დღეებში, როგორც წესი, გონებრივად არავინ იძაბება, საკვებსაც შედარებით დიდი რაოდენობით იღებს, შესაძლოა, ვინმემ ალკოჰოლიც მიირთვას.

სუთდღიანი მძიმე სამუშაო გრაფიკის შემდეგ ორგანიზმი ასეთ მოდუნებას ვეღარ უძლებს და მძიმე ღამე გარანტირებულია...

ჰასიკი გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

რეპრესირებული საიდუმლო საარქივო მასალები

ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში წავაწყდით ფოტოს, რომელიც ქალაქ ნითელწყაროში 1934 წლის 2 მარტსაა გადაღებული. ფოტოზე შინაწერი, სადაც ვიგებთ, რომ მასზე გამოსახულია სერიოზო ბულაშვილი თომას ძე - ოლია მჭედლიშვილის ძმისშვილი. ფოტოები სწორედ მჭედლიშვილებმა გადასცეს ბიბლიოთეკას. პორტრეტის უკანა მხარეს ფანქრით წერია: სერიოზო ბულაშვილი უკანასკნელად ნითელწყაროში საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. 1937 წელს დაიღუპა ტრაგიკულად. ფოტო და ეროვნული ბიბლიოთეკა დანარჩენ დეტალურ ინფორმაციას აღარ ფლობს. ეს წარწერა ია მჭედლიშვილმა გააკეთა.



მას შემდეგ დაახლოებით ორი თვეა ვცდილობ ამ პიროვნებაზე დამატებითი ცნობები მოვძებნო, თუმცა არქივებში არაფერია და არც ინტერნეტში იძებნება. გასაკვირია, რომ ამ პიროვნებაზე არც მსოფლიო საძიებო კატალოგ ვიკიპედიაში დევს რამე. არადა, ვფიქრობთ შირაქის მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ვინ მუშაობდა ამ ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე ნითელწყაროს საბჭოში, რა გარემოებებში გარდაიცვალა და ვინ იყო ეს პიროვნება? იყო ეს მართლაც უბედური შემთხვევა, როგორც ეს მისმა ნათესავებმა ფოტოზე აღნიშნეს, თუ სხვა ვითარებაში დაიღუპა? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ძიებას ვაგრძელებ, თუმცა ახალი დეტალები მოძიებასთან ერთად შეკითხვებიც მატულობს. დოკუმენტები და ინფორმაცია კი სხვა პასუხებს აღარ იძლევა. მხოლოდ ვარაუ-

ლის რაიონი. ამიტომაც, დიდი ალბათობით, შესაძლოა, ცნობები ერთიდაიმავე პირს ეკუთვნოდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლოებული არქივი ბოლო წლებში გაიხსნა და სამინისტრომ საბჭოთა დროის დოკუმენტები გაასაჯაროვა. დღეს უკვე ამ ძველისძველ ფურცლებში ჩახედვა და საინტერესო ცნობების ამოკითხვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ამ არქივში არსებულ ერთერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ვინმე სერგო თომას ძე ბულაშვილი სასჯელის უმაღლესი ზომით გაასამართლეს და დახვრიტეს. თუკი ეს ერთიდაიგივე პიროვნებაა და დახვრეტის დოკუმენტიც ფოტოზე გამოცხადებული სერიოზოს ეკუთვნის, მაშინ ჩნდება კითხვა: რატომ წერია ფოტოსურათზე, რომ ის ტრაგიკულად დაიღუპა?.. თუ გავითვალისწინებთ, რა ვითარება იყო 1937 წელს, ადვილად სარწმუნოა ისიც, რომ ოჯახის ახლობლებს მის ფოტოზე გარდაცვალების მიზეზად დახვრეტის მითითება ვერ გაეხდებოდა. მარინე გიორგის ასული ფერადის პერსონაჟის მსგავსად არც ისაა გამორიცხული სერიოზო თომას ძე ბულაშვილი და სერგო თომას ძე ბულაშვილი სხვადასხვა ადამიანები იყვნენ, მაგრამ გარდაცვალების წელი, გვარი სახელი და მამის სახელის დამთხვევა ალბათობას ზრდის, რომ ინფორმაცია ერთ პირს ეკუთვნის.

დახვრეტის ოქმი
ეროვნული საარქივო
სოციალური წარმომავლობა: გლეხი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კოლმეურნეობა „შრომა“

საცხოვრებელი ადგილი: სიღნაღის რაიონი
დახვრეტის თარიღი: 23 ნოემბერი 1937 წ.
ალკვეთის ღონისძიება: პირადი ქონების კონფესკაცია, ბრალი აღიარა დაპატიმრების თარიღი: 1937 წ.
• ბრალად ედება: კ/რ ტროცკისტული საქმიანობა
• გამსამართლებელი ორგანო: მე-4 განყოფილება შინსახკომი, სხდომის თავჯდომარე რაფაელა, წევრები - მაიორი წერეთელი, პროკურორი ტალახაძე, მდივანი ზ. განც. უფროსი მოროზოვი, მომხსენებელი მამულია
• მუხლი: 58.7; 58.11
• სასჯელის ზომა: უმაღლესი
საარქივო საქმე: 37413 ყუთი 144 ოქმი 53 ტომი 1 გვ 19
წყაროები: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი - ფ 8
დახვრეტის ოქმში ასევე წერია: „დააკავეს მასზედ, რომ იყო კ/რ მემარჯვენე სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის წევრი. ამ ორგანიზაციის წევრის ხალხის მტრის, იმუხად დახვრეტილი ნითლიძის დავალებით ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას კოლმეურნეულ შრომაში. კერძოდ არ აიღო 200 ჰა შერეის მოსავალი, ასევე მავნებლურად მოხსნა ალაზნის ველზე ათასობით ჰა საძოვარი, რომელიც უვარგისი იყო დასათესად. ბულაშვილმა მავნებლობით კოლმეურნეობის საქმიანობა ჩააგდო ყველა მიმართულებით. რითაც დისკრედიტაცია გაუწია პარტიის საქმიანობას კოლმეურნეობის მიმართულებით. სერგომ თავი სცნო ნაწილობრივ დამნაშავედ.“

ილია მარტყოფლიშვილი

ერთი კადრი წარსულიდან

1966 წელი, სოფელი ჯაფარიძე. ახალი უბანი. გაზეთ „შირაქის“ ექსკლუზიური ფოტო, დატულია ჩვენს რედაქციაში. „წარსულს ჩაბარდა ტალახიანი „ჩიჩინოვკა“. კოლმეურნეთა ხელით ნაშენი აგურის ნითელი სახლები გამწკრივებული მოასფალტებული გზის ორივე მხარეს“.



მოწაბრება

გიორგი მოწაშვილი (გონა)
ბაბოს დიდი დარდო, მონატრება და ტკივილი, 15 აპრილს ხომ შენი დაბადების დღეა. 32 წლის შესრულდებოდი. გილოცავ შეუსრულებელ 32 წელს, 24-ი წლისად დარჩენილი, მრავალ ოცნებააუხდენილო, არ დაგცალდა შენი სალომეს გაზრდა, შვილო.გზაზე მოგისწრო მუხთაღმა სიკვდილმა. ჩემი ოცნებაა, დამენახე ამ ასაკში როგორი ვაჟკაცი გვეყოლებოდი. ენატრობ, თქვენთან მალე მოსვლას, შენთან და პაპასთან შეხვედრას. ძალიან მიჭირს უთქვენო-

ბა, ორივე ძალიან მენატრებით. შენს ერთადერთ სალომესაც ძალიან ენატრები, ნეტავ დამანახა, მაშეკო როგორი იქნებოდაო. მხოლოდ მამა აკლია სალის, მზრუნველობას და ყურადღებას არც პაპა-ბებია აკლებს, არც თაკო და ლევანი, მეორე შვილად ჰყავთ. 15 აპრილს მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან, დაგინთებთ სანთელს, მოგიტანთ უამრავ ყვავილს და განსასვენებელს მოგიწავთ ცრემლით. უფაღს შეგვედრებთ შენს ღამაზე და სპეტაკ სულს. უფაღმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ჩემო გაუხარელო და მრავალ ოცნებააუხდენილო, ყველაზე თვალდარჩენილი ჩემო გიორგი (გონა), ბაბოს დიდი ტკივილო.

შენგან უბედური ბაბო **ნაირა თემურაშვილი**

მოწაბრება

გოგი პოპიაშვილი
როდესაც 10 წლის შემდეგაც ისევ გეუბნებიან, რა ძალიან კარგი მეუღლე გყავდაო, გული სიამაყითა და სითბოთი გვეცხება. ალალი იყოს ჩემი ზრუნვა, როდესაც შენ უმწეოს, ლოგინს მიჯაჭვულს, უგონო მდგომარეობაში მყოფს წელიწადნახევარი ერთგულად თავს გველებოდი. ყოველ ღამე იმ იმედით ვიძინებდი, რომ დილა მშვიდობით გაგვიტენდებოდა, მაგრამ... 2015 წლის 10 აპრილი შენთვის აღარ გატენდა. 2 აპრილს 74 წლის გახდი, 1 კვირაში კი სამუდამოდ გამეყარე და დამაკენტი... სულ იმას ნატრულობდი: ნეტავ შენზე წინ მოვკვდე, სიმარტოვე ძალიან გამიჭირდებო! შენ გგონია მე არ მიჭირს?! მიჭირს და მაკლიხარ, ცოლ-ქმრობა ხომ უსისხლო, მაგრამ ყველაზე მჭიდრო ურთიერთობაა.

10 წელი ცოტა არ არის, მაგრამ ტკივილი გუშინდელ დღესავით მძაფრია. ცხოვრება კი თავისას ითხოვს. რამდენი რამ მოხდა უშენოდ — შენი საყვარელი ნია უკვე მოქალდა, დიდი გოგოა. შენი მოსახლე გიორგი, რომლის დაბადების სიხარული არ გელირსა, 6 მაისს 10 წლის გახდება. საოცრად კარგი ბიჭია. სამი წელია სამსახური დავტოვე, მომთაბარე ცხოვრებაზე გადავედი: ზამთარს დედაქალაქში ვატარებ, გიორგის ბებიამასწავლებლის როლი მოვირგე, რაც ძალიან მამბედნიერებს. ზაფხულს კი დედოფლისწყაროში ვატარებ, ეზო-კარში ვშრომობ. ვცდილობ, ნატურალური პროდუქტებით შევეხილო ჩემი შვილების ოჯახებს. ასე მიდის ჩემი ცხოვრება შენს გარეშე. ძალიან მაკლია შენი მხარში დგომა, შინ და გარეთ... ენატრები და აკლიხარ შვილებს, ხშირად ისწებენ შენთან გატარებულ დღეებს. ნია გნატრულობს, გიორგი კი გულდამწყვეტილია, რომ ვერ გაგიცნო. სამაგიეროდ, ყოველ აღდგომას, ჩვენთან ერთად მოდის საფლავეზე, სანთელს გინთებს და შენს გვარ-სახელს აგრძელებს. ყოველი აღდგომა ჩვენთვის შენი ხსოვნაა, რადგან სწორედ ნითელი პარასკევის დღისაა გადაინაცვლე ზეციურ სამყაროში. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ნათელში იყოს შენი ალაღ-მართალი სული, სანთელი არ აკლია შენს ხსოვნას, შენ კი იქ ილოცე შენი ოჯახისთვის.

შენი მეუღლე, ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი.

ნანა კიკილაშვილი, ილია, ნინო და ვახტანგ დათუქიშვილები უერთდებიან შვილების მანანა, მარიკა, მაია და არჩილ ჩაფიაშვილების მწუხარებას დედის, **ციცინო ჩაფიაშვილის** გარდაცვალების გამო.

ნათია, თეა და ლევან დათუქიშვილები თანაგრძნობას უცხადებენ მანანა, მარიკა, მაია და არჩილ ჩაფიაშვილებს დედის, **ციცინო ჩაფიაშვილის** გარდაცვალების გამო.

შრომა, დისციპლინა, მოტივაცია — გზავნილი ახალგაზრდობისთვის

„სიძლიერის შიგნითაა ძაღვი და ახსნა“ — ანაბატი ამ სიტყვას მნიშვნელოვან სახეს აძლევს. ანაბატი არაა მხოლოდ სიძლიერის, არამედ სიბრძნის, სიბრძნისა და სიბრძნის. ანაბატი არაა მხოლოდ სიძლიერის, არამედ სიბრძნის, სიბრძნისა და სიბრძნის. ანაბატი არაა მხოლოდ სიძლიერის, არამედ სიბრძნის, სიბრძნისა და სიბრძნის.



- ნიკოლოზ, მოუყევინე ჩვენი გაზრდილი მკითხველს შენს შესახებ...

მე ვარ ნიკოლოზ ჩომახაშვილი, 17 წლის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკიდან. 12 წლამდე ვცხოვრობდი და ვსწავლობდი არბოშიკში, ამჟამად ვცხოვრობ თბილისში და ვსწავლობ 174-ე საჯარო სკოლაში.

- როგორ გაჩნდა მკლავჭიდი შენს ცხოვრებაში?

ჩვენს სოფელში, რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში სპორტული დარბაზი გაიხსნა, სადაც მე და ჩემმა მეგობრებმა ვარჯიში დაიწყეთ. ამ სპორტში ეს ჩვენი პირველი ნაბიჯი აღმოჩნდა. უნდა აღვნიშნო ის ადამიანი, რომელიც იმ პერიოდში გვაგვარჯიშებდა. ეს პიროვნება იყო ზაზა კაკალაშვილი, რომელმაც ფაქტობრივად გაგვიცვალა გზა და ამ სპორტის „ანი-ბანი“ გვასწავლა.

- რატომ მკლავჭიდი და რამდენი წელია უკვე რაც ამ სპორტით ხარ დაკავებული?

პრაქტიკულად, უნდა ითქვას, რომ ამ სპორტით ბავშვობიდან ვარ დაკავებული. სოფელში, დარბაზში, რომ მივედი ტრენერმა მითხრა, კარგი მონაცემები გაქვსო და ვარჯიში დამანდებინა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, მივეცი და თავი აღარ დამინებებია. ოფიციალურად, უკვე 5 წელია, რაც ვვარჯიშობ.

- როგორც ვიცი, დიდ დროს უთმობ ვარჯიშს... როგორ და სად დაიწყე ვარჯიში და ამჟამად სად ვარჯიშობ?

თბილისში გადმოსვლის შემდეგ, გა-

ვიცანი ჩემი ახლანდელი მწვრთნელი ზურა ირემაშვილი და მასთან, როგორც პირად მწვრთნელთან, გავაგრძელე ვარჯიში.

- საიდუმლოს არავისთვისაა, რომ სპორტში დიდ როლს დისციპლინა თამაშობს. როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია ის წარმატებული კარიერისთვის და შენ რა დროს უთმობ რეგულარულ ვარჯიშს?

სპორტი ეს ის სფეროა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება დისციპლინა. აუცილებელია, რომ ის ჩვევაში ჰქონდეს სპორტსმენს. მის გარეშე სპორტში, პრაქტიკულად, ძნელია მუდმივად ფორმაში ყოფნა. დისციპლინა არ არის თანდაყოლილი თვისება, ეს არის გამოუმუშავადი. ამიტომ, პირობითად, თუ ბავშვობაში არ ჰქონდა ის ადამიანს, შემდგომაც შეუძლია მისი გამოუმუშავება. დისციპლინის გარეშე, არაფერი გამოვა. რაც შეეხება, ჩემს ვარჯიშს - ვვარჯიშობ დღეგამოშვებით, ხუთი საათის განმავლობაში.

- გვიამბე იმ შეჯიბრზე, რომელმაც საქართველოს ჩემპიონობა მოგაპოვებინა. ვის მიერ იყო ეს ჩემპიონატი ორგანიზებული და რა სირთულის შეხვედრების ჩატარება მოგიწია.

ეს შეჯიბრი საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის წევრის, გიორგი მუსელიანის მიერ იყო ორგანიზებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წონით კატეგორიაში ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორები მყავდნენ, საკმაოდ, მარტივად დავამარცხე ყველა. პრაქტიკულად, კონკურენცია ვერავინ გამიჩნია. ორივე ხელში მომიწია 7 გადარჩევა, რამაც საქართველოს ჩემპიონის ტიტული მომპოვებინა.

- როგორი იყო გამარჯვების ემოცია? რას გრძნობდი, როდესაც გაიზარე, რომ საქართველოს ჩემპიონი გახდი?

რა თქმა უნდა, ყველა გამარჯვებასთან სიხარული სდევს. ეს სიხარული იმას გეუბნება, მომზადებაში ჩადებული ენერგია, დრო და რესურსი, ფუჭი არ ყოფილა. ამ შეჯიბრისთვის დაახლოებით ერთი წელი ვემზადებოდი და როდესაც გავიზარე რომ საქართველოს



ჩემპიონი გავხდი, გახარებული ვიყავი, ჩემი შრომა წყალში არ ჩაიყარა და გავამართლე ჩემი კეთილისმსურველების, ჩემი გულშემოტიკერების, ოჯახისა და მწვრთნელის იმედები.

- ერთი შეხედვით, თითქმის ძალიან მარტივი ჩანს ამ სპორტში წარმატების მიღწევა. გვითხარი, რეალურად რა შრომა დგას ამ ტიტულის უკან და რა პასუხისმგებლობას განიჭებს ის შენ?


ვერ დავეთანხმები იმ ადამიანებს, ვინც მსგავსად ფიქრობს. წარმატება, მხოლოდ ამ სპორტში კი არა, არცერთ სხვა სახეობაში არ მოდის მარტივად. ამ სპორტში წინსვლისთვის, წარმატების მისაღწევად საჭიროა თავდაუზოგავი შრომა. სამწუხაროდ, იყო ბევრი ტრავმა, მაგრამ როდესაც გიყვარს შენი საქმე, ყველაფერს გააკეთებ წარმატების მისაღწევად. ტიტული კი უდაოა, დიდ პასუხისმგებლობასაც განიჭებს. მოტივატორი და მაგალითი უნდა გახდე სხვა ადამიანებისთვის, მუდმივად უკეთეს



შედეგზე უნდა იფიქრო, ერთ ადგილზე არ უნდა გაჩერდე.

- რა თქმა უნდა, ყოველ წარმატებას, პრობლემები და გამოწვევებიც ახლავს თან. როგორ ფიქრობ, ამ სპორტში რა პრობლემები და გამოწვევებია?

ძალიან ბევრ ახალგაზრდას აინტერესებს მკლავჭიდი, მაგრამ, სამწუხაროდ, არანაირი ნახალისება და დაფინანსება არ გვაქვს, ამიტომ ბევრი აქ გამარჯვების შემდეგ საზღვარგარეთ წასვლას ვერ ახერხებს. სხვა ყველაფერთან ერთად, მოტივაცია ხომ მნიშვნელოვანია შემდგომი წარმატებებისთვის. გასულ წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, მოდლოვამი ვიყავი შეჯიბრზე წასული, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ნიკოლოზს და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს. ვფიქრობ, შესაბამისმა უწყებებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი ამ სპორტში ჩართულ ახალგაზრდებს, რათა უფრო ბევრჯერ შევძლოთ ჩვენი ქვეყნის დროშის უმაღლეს კვარცხლბეკზე აფრიალება.



მწვრთნელთან, ზურა ირემაშვილთან

- არსებობს თუ არა ადამიანი შენს ცხოვრებაში, ვინც სპორტში ჩართვის მომენტიდან დღემდე თავი დაგამახსოვრდა და რომელიც შენთვის მისაბაძი მაგალითია, რომელმაც ბევრი რამ გასწავლა?

ჩემთვის მისაბაძი მაგალითი ჩემი მწვრთნელი ზურა ირემაშვილია, რომელმაც ყველაფერი მასწავლა და ყოველთვის გვერდში მიდგას.

- მოგეხსენება თუ წაგების შემდეგ, ყოველი ადამიანი ცდილობს, იპოვოს ამა თუ იმ შედეგის მიზეზი. ასეთ შემთხვევებში, მარტო დარჩენილ საკუთარ თავს რას ეუბნები ხოლმე?

„წაგების შემდეგ გული არ გაიტეხო და უკეთესი შედეგისთვის ათმაგად იმრომე“- ამას ვუვარჯიშებ ჩემს თავს. ასეც ვიქცევი, თუ რაიმე დაბრკოლება მხედება.

- როგორია შენი სამომავლო გეგმები?

30 მაისს მივდივარ ევროპის ჩემპიონატზე რუმინეთში. იქ გამარჯვების შემთხვევაში, მომიწევს გამგზავრება მსოფლიოს პირველობაზე ბულგარეთში, რომელიც სექტემბერში გაიმართება.

- რას ურჩევდი ბავშვებს, ახალგაზრდებს? რა არის მათთვის, შენი, როგორც სპორტსმენის გზავნილი?

ჩემი როგორც სპორტსმენის გზავნილი შრომა, დისციპლინა, მოტივაციაა. მათ გარეშე, არამარტო სპორტში, არამედ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, ძნელია წარმატების მიღწევა. ახალგაზრდებს ვურჩევ, ბევრი იშრომონ, თუნდაც ბევრი თმენა და ლოდინი მოუწიონ, არ დანებდნენ და აუცილებლად მიაღწევენ იმ მიზნებს, რაც დასახული აქვთ.

გაზეთი „პირაქი“ წარმატებას უსურვებს ნიკოლოზ ჩომახაშვილს მომავალ შეჯიბრებაში და უსურვებს არასოდეს განაღოვოს ის მუხტი და მოტივაცია, რომელიც აქვს, რომელიც ამოძრავებს და მთავარია სპორტში და მისი უსაზღვრო პოტენციალი.

ესაუბრა

შუშუნა ყანჩაშვილი

ულოცავენ!

ლია კობახიძეს! ბაჩუკი გონაშვილს!

გულწრფელად ვუერთდებით თქვენი ოჯახის დიდ სიხარულს-მეზუთე შვილიშვილის, ნიკას დაბადებას, მის ახალგაზრდა მშობლებს ნათიას და დავითს ვუსურვებთ სახელოვანი შვილების დაჩის და ნიკოს აღზრდას. მშვიდობა და ჯანმრთელობა არ მოჰკლებოდეს თქვენს ლამაზ ტრადიციულ ქართულ ოჯახს.

სიყვარულით და პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მნიშვნელოვანი ასოციაციი

იყიდება

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონე-ბით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700\$ ტელ: 595 32 47 61

ვაკანსია!

შპს „ჯოს რითეილ“-ი აცხადებს ვაკანსიას სოფელ სამრეკლოში მდებარე ბენზინგასამართ სადგურში ჩამსხმელ-ოპერატორის პოზიციაზე. დეტალებისთვის დარეკეთ: **ტელ: 595 42 40 10**

ამინდი		დედოფლისწყარო		დედოფლისწყარო		დედოფლისწყარო		დედოფლისწყარო		დედოფლისწყარო		დედოფლისწყარო	
ორშაბათი 14.04	დღე	სამშაბათი 15.04	ღამე	ოთხშაბათი 16.04	დღე	ხუთშაბათი 17.04	ღამე	პარასკევი 18.04	დღე	შაბათი 19.04	ღამე	კვირა 20.04	დღე
13°	5°	10°	5°	11°	5°	15°	6°	16°	7°	19°	7°	20°	8°

გამომცემელი შპს „პირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ილია პარჭაოულიშვილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტიკა); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიკი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანაძე (საქმის მწარმოებელი). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „პირაქი“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება გამომცემლობა „ლაბ კოლორი“-ს სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ: 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6014-468. გაზეთის გამოცემა წელიწადში - 20 ლარი
--	---	--	---